



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



**მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის**

**ო კ მ ი N15**

ქ. მარნეული

11.09.2015 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**საკრებულოს წევრები:** - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, რიჩარდ გიგანი, კოტე ბოჭოიძე, ვალი ისმაილოვი, ვანო ბურნაძე, აბიდ ოსმანოვი, გიორგი შუკაკიძე, ირაკლი ბურნაძე, ზურაბ ჭონიაშვილი, ქამილ ალიევი, რამიზ გულმამედოვი, ლერი მუმლაძე, რუსტამ ფაშაევი, აიდა ხაჩიკიანი, ბესიკ გუჯეჯიანი, გივი ქველაძე, არსენ ახვერდიანი, მაილ მიქიევი, მამედ მამედოვი, ისმაილ ბაირამოვი, ელხან მუსტაფაევი, რაფიკ ჯაფაროვი, ლევონ აკოპიანი, ნიზამი ვალიევი, სულეიმან ხალილოვი.

**არ ესწრებოდა:** - ნიკოლოზ გოგოჭური, რაფიკ მუსაევი, რაგიმ ასკეროვი, ჯომგუნ ზეინალოვი, მახირ იუსუბოვი, ზურაბ სხირტლაძე.

**სხდომას ესწრებოდა:** - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები თეიმურაზ ბერიძე და ქამანდარ ისმაილოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ტარიელ მუსაევი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გენდერულ საკითხებში ია ესებუა.

**პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები:** „მარნეული TV“-ს ტელევიზიის წარმომადგენლები, გაზეთ „ოზანი“-ს რედაქტორი ქამილ მუსაევი.

**განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:**

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

2. მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის წითელ ხიდთან მდებარე მთავარ-ანგელოზთა სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრის მღვდელ-მონაზონის ფილიპე (პარმენ) რატიანის განცხადების განხილვის შესახებ.
3. წერაქვის მიხეილ ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის გამარტივებულ შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

### განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N34. 11.09.2015 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის წითელ ხიდთან მდებარე მთავარ-ანგელოზთა სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრის მღვდელ-მონაზონის ფილიპე (პარმენ) რატიანის განცხადება (რეგ.N893/05. 10.09.2015წ) და ითხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, როგორც გამონაკლისი, უზრუნველყოს 1200 ლარის გადარიცხვა ს/ს ენერგო პრო ჯორჯიას ანგარიშზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ კესალოში მშენებარე მონასტრის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის დავალიანების დასაფარად, ვინაიდან აღნიშნულ მონასტერში მიმდინარეობს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. გამოითქვა წინადადება, რომ ზემოაღნიშნულ მონასტერში მშენებლობის დამთავრებამდე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N298 განკარგულებით გათვალისწინებული ლიმიტის ნაცვლად, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ კესალოს მონასტერს, მოხმარებული ელექტროენერჯის დავალიანების დასაფარად დაუწესდეს ყოველთვიურად 300 ლარის ლიმიტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N142. 11.09.2015 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 სექტემბრის N03/3370 წერილით შემოსული დოკუმენტაციის გათვალისწინებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ წერაქვში, მიმდინარე წლის ოქტომბერში ჩასატარებელი ჯავახიშვილობის დღესასწაულთან დაკავშირებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 1-ის მე-3<sup>1</sup> პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის 2-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სთხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის

მუნიციპალიტეტის გამგებელს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ წერაქვში, მიხეილ ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის და ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გადაუდებელი აუცილებლობით, გამარტივებული შესყიდვით.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N141. 11.09.2015 წ).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის მეთხუთმეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

ნაბი აბდულაევი

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე: